სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 09 ივლისის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ №61/2020 დადგენილების პირველი პუნქტით - პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების (თეორიული ეკონომიკის, ეკონომიკასა და ბიზნესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომეტრიკის, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა) დასაკავებლად დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) №3

ქ. თბილისი 23 ივლისი, 2020 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), თსუ-ს ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე ე.მ.კ. მ. ხუსკივაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ლ. ბახტაძე (მდივანი), თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ნ. აბესაძე, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი თ. მუნჯიშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი ნ. დამენია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი დ. სეხნიაშვილი. ოქმს თან ერთვის კომისიის სხდომაზე წევრთა გამოცხადების დამადასტურებელი ფურცელი (იხ. დანართი №1).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით - (№88/01-01; 20 მაისი 2020 წელი; №87/01-01, 20 მაისი, 2020 წელი) დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - **თეორიული ეკონომიკის, ეკონომიკასა და ბიზნესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომეტრიკის, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა - პროფესორის და ასოცირებული პროფესორების** ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარე
ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2020 წლის 20 მაისის №88/01-01 და 2020 წლის 20 მაისის №87/01-01 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში - **თეორიული ეკონომიკის კათედრა** (პროფესორი -1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"); **ეკონომიკასა და ბიზნესში საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრა** - (ასოცირებული პროფესორი -1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"); **საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა** (ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული-კატეგორია „ბ"); **ეკონომეტრიკის კათედრა** (ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა"); **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა** (ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული-კატეგორია „ა") გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროცედურების შესაბამისად ჩატარდა პრეტენდენტთა შეფასების ორივე ეტაპი. საკონკურსო კომისიის მიერ შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრა.

გამოცხადებულ კონკურსში ყველა მიმართულებით მონაწილეობდა 5 კონკურსანტი. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით პრეტენდენტის სტატუსი მიენიჭა 5 კონკურსანტს.

კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩავლეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" დანართი №1 განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა.

თსუ-ში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დანართი №5), რომელშიც აისახა შესაბამისი მიმართულების მიხედვით საკონკურსო აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად არსებული პრეტენდენტების სახელები და გვარები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა სხდომაზე კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. საარჩევნო ყუთი კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით დაილუქა და ლუქი დამოწმდა კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, დალუქული საარჩევნო ყუთი გახსნეს კომისიის წევრებმა და დათვალეს პრეტენდენტთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგები

თეორიული ეკონომიკის კათედრა - პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული -კატეგორია „ა“.

1. ბერიძე თეიმურაზი - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;

დაადგინეს: თეორიული ეკონომიკის კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე 1 (ერთი) საშტატო ერთეული -კატეგორია „ა“ გამარჯვებულად გამოცხადდა **ბერიძე თეიმურაზი.**

ეკონომიკასა და ბიზნესში საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1(ერთი) საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“

2. მელქოშვილი თინა - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;

დაადგინეს: ეკონომიკასა და ბიზნესში საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრაზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - 1(ერთი) საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“- გამარჯვებულად გამოცხადდა **მელქოშვილი თინა.**

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული-კატეგორია „ბ“

3. ჯამაგიძე ლელა - მიღებული ხმების რაოდენობა - 7 ;

დაადგინეს: საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - 1 (ერთი) საშტატო ერთეული - კატეგორია „ბ“- გამარჯვებულად გამოცხადდა **ჯამაგიძე ლელა.**

ეკონომეტრიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული-კატეგორია „ა“

4. მიქიაშვილი ნინო - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;

დაადგინეს: ეკონომეტრიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - 1 (ერთი) საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“- გამარჯვებულად გამოცხადდა **მიქიაშვილი ნინო.**

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა – ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“

5. გიორგობიანი მაია - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;

დაადგინეს: ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - 1 (ერთი) საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“- გამარჯვებულად გამოცხადდა **გიორგობიანი მაია.**

მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი

მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველია კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც საკონკურსო კომისიამ შეისწავლა და განიხილა, ასევე კონკურსანტების გასაუბრების შედეგები. შეფასებები აისახა „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართის №4 (თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილება) კატეგორიების შესაბამისად. აღნიშნული შეფასება დეტალურად ასახულია საკონკურსო კომისიის ოქმში №1 (15 ივლისი, 2020 წელი) თანდართულ კონკურსანტის შეფასების ანკეტებში (№3), ხოლო გასაუბრების შედეგები წარმოდგენილია კომისიის ოქმში №2 (21 ივლისი, 2020 წელი), რომელსაც თან ახლავს გასაუბრების აუდიო ჩანაწერი. მიღებული შეფასებების საფუძველზე კონკურსანტების გამარჯვება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

1. **ბერიძე თეიმურაზი -** კონკურსანტს აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ კურსებთან. გამოქვეყნებული აქვს მაღალი სამეცნიერო ღირებულების მნიშვნელოვანი პუბლიკაციები ციტირების მაღალი ინდექსით. მნიშვნელოვანია მისი უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, მრავალმხრივია დამატებითი საქმიანობა. კონკურსანტმა I, II, III, IV კატეგორიების მიხედვით მიიღო „მაღალი“ შეფასება. გასაუბრების ეტაპზე დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დასაბუთებული.

2. **მელქოშვილი თინა** - კონკურსანტს აქვს ვაკანსიის პროფილთან შესაბამისი კვალიფიკაცია და პედაგოგიური გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაშია თსუ-ს მოქმედი სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ კურსებთან, გამოქვეყნებული აქვს პროფილის შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები. დამატებითი საქმიანობა ძირითადად პროექტებში მონაწილეობით არის წარმოდგენილი. გამომდინარე აქედან, III კატეგორიის კრიტერიუმი 2 - თსუ-ს ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას - კომისიამ მიანიჭა შეფასება „საშუალო“. კონკურსანტმა I, II, III(1), IV კატეგორიების მიხედვით მიიღო „მაღალი“ შეფასება. გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხი იყო სრულყოფილი.

3. **ჯამაგიძე ლელა** - კონკურსანტს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ კურსებთან. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში გამოვლენილია პრობლემატიკის მიმართ ავტორისეული მიდგომები, კონკურსანტს აქვს საერთაშორისო აქტივობა, კერძოდ, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. კონკურსანტმა I, II, III, IV კატეგორიების მიხედვით მიიღო „მაღალი" შეფასება. გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დასაბუთებული.

4. **მიქიაშვილი ნინო** - კონკურსანტს აქვს ვაკანსიის პროფილთან შესაბამისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები შეესაბამება თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედ სილაბუსებს. წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი აქტუალური და პროფილის შესაბამისია. დამატებითი აქტივობა მრავალმხრივია. კონკურსანტმა I, II, III, IV კატეგორიების მიხედვით მიიღო „მაღალი" შეფასება. გასაუბრების ეტაპმა გამოავლინა ლოგიკური აზროვნების უნარი, სამეცნიერო ნაშრომების და კონცეფციის შესახებ დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით კონკურსანტის პასუხი იყო დასაბუთებული.

5. **გიორგობიანი მაია** - კონკურსანტს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ კურსებთან. კონკურსანტის დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან. კონკურსანტმა I, II, III, IV კატეგორიების მიხედვით მიიღო „მაღალი" შეფასება. კონკურსანტის მიერ, გასაუბრების ეტაპზე, დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო სრულყოფილი.

აზრი გამოთქვეს: თსუ ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა (კომისიის თავმჯდომარე), თსუ-ს ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე ე.მ.კ. მ. ხუსკივაძემ (თავმჯდომარის მოადგილე), თსუ-ს ასოცირებული პროფესორმა ლ. ბახტაძემ (მდივანი), თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ნ. აბესაძემ, თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა თ. მუნჯიშვილმა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. დამენიამ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა დ. სეხნიაშვილმა.

დაადგინეს: 1.1 საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა იმსჯელა მათ მიერ გაწეული სამუშაოს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესთან" შესაბამისობის შესახებ. დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო განხორციელდა მოქმედ რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში.

1.2 თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

1.3 თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა №2 (კორპუსი X), ოთახი № 310.

კომისიის თავმჯდომარე /თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /თსუ-ს ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე ე.მ.კ მ. ხუსკივაძე/

კომისიის წევრები /თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ნ. აბესაძე/

/თსუ-ს ასოცირებული პროფესორი თ. მუნჯიშვილი/

/საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი ნ. დამენია/

/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი დ. სეხნიაშვილი /

კომისიის მდივანი /ასოცირებული პროფესორი ლ. ბახტაძე/